



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუთაევი ალალო ათანასეს ძე

თუთაევი ალალო ათანასეს ძე (გ. 26. V. 1912), მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე, ქველმოქმედი. თანამშრომლობდა ქართ. პრესასთან („დროება“, „ივერია“, „თემი“ და სხვ.), აქვეყნებდა პუბლიც. წერილებს, პიესებს, ნაკვესებს. XIX ს. 70-იან წლებში აქტიურად მონაწილეობდა გორის კულტ.-საგანმან. ცხოვრებაში. იყო გორის სცენისმოყვარეთა საზ-ბის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. 1877 წ. დიასამიძესთან ერთად საკუთარი ხარჯით გადააკეთა გორის ძვ. როტონდა და თეატრი დააარსა. 80-იანი წლებიდან ცხოვრობდა თბილისში, ჰქონდა საღებავების ქარხანა, რ-ის შემოსავლის ნაწილს საქველმოქმედო საქმეებს ახმარდა (მატერიალურად ეხმარებოდა სკოლებს, ეკლესია-მონასტრებს და სხვ. დიდუბეში, საკუთარ სახლში, დაარსებული ჰქონდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო). თ-ის პიესები („ცოლი ვიტურო თუ ფული?“, „უცნაური არმიყი“ და სხვ.) იდგმებოდა თბილისში, გორში, თელავში, ცხინვალში, ოჩამჩირეში და სხვ. დაკრძალულია გორში.

ლიტ.: ქართული პიესები, ტფ., 1909.

თ. ჯოლოგუა
